

ქ. თბილისი

12 მარტი 2020 წელი

სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 5 წევრი:

დავით მჭედლიშვილი

ვაჟა ლეჟავა

მერაბ სალუქვაძე

ბაქარ ჯიქია

შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის დავით მჭედლიშვილის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა მერაბ სალუქვაძის კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მერაბ სალუქვაძის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- 2020 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციურ ორგანიზატორთა მიერ, შეჯიბრების შესაბამისი რეგლამენტების და ტექნიკური მოთხოვნების წარმოდგენის ვალდებულება;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ვაჟა ლეჟავამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**1) 2020 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციურ ორგანიზატორთა მიერ, შეჯიბრების შესაბამისი რეგლამენტების წარმოდგენის ვალდებულება;**

სატრეკო და არასატრეკო რბოლების კომისიის თავჯდომარეებმა - ბაქარ ჯიქიამ და მერაბ სალუქვაძემ მოახსენეს საბჭოს, რომ საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის მატარებელი შეჯიბრებების გარდა, სხვა ყველა შეჯიბრებების რეგლამენტების და ტექნიკური მოთხოვნების წარმოდგენა ევალუბათ ორგანიზატორებს, მიუხედავად ამისა, მრავალი გაფრთხილებისა და შეხსენებისა, რომელიც მიეცათ პოტენციურ ორგანიზატორებს, წარმოდგინათ მათ მიერ ჩასატარებელი შეჯიბრებების რეგლამენტები და ტექნიკური მოთხოვნები, ამ უკანასკნელთა მხრიდან დათქმულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი არანაირი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა ჩასატარებელი შეჯიბრებების სახეობას, ჩატარების წესს და ა.შ.

ბ. ჯიქიასა და მ. სალუქვაძისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საბჭომ იმსჯელა ზემოთხსენებულ საკითხზე და დაადგინა: რადგან ორგანიზატორის ერთ-ერთი ვალდებულება პირველ რიგში არის იმ შეჯიბრებების რეგლამენტის და ტექნიკური მოთხოვნების წარმოდგენა, რომლის ჩატარებასაც ის აპირებს და მის მიერ აღნიშნული დოკუმენტების არწარდგენა არის მათზე დაკისრებული ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც მიუთითებს უპასუხისმგებლო და ზერელე დამოკიდებულებაზე ჩასატარებელი შეჯიბრებების მიმართ, ყველა ორგანიზატორს (გარდა საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის მქონე შეჯიბრებების ორგანიზატორებისა), რომელსაც შემოტანილი აქვს განაცხადი 2020 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიეცეს ბოლო გაფრთხილება რეგლამენტების და ტექნიკური მოთხოვნების წარმოდგენის საბოლოო ვადად განესაზღვროს 2020 წლის 25 მარტი. რეგლამენტის და ტექნიკური მოთხოვნების არწარდგენის შემთხვევაში ორგანიზატორს შესაძლოა უარი ეთქვას შეჯიბრებების ჩატარებაზე და ორგანიზატორის ლიცენზიის მიღებაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხი იქნა განხილული. სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

\_\_\_\_\_

ვაჟა ლეჟავა